პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 ოქტომბერი ოთხშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 249 (15766)

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებიდან.

ოქტომბრის შესახვედრად

## შესრულებულია 10 თვის დავალება

ქუთაისი, (საქ. კორ.). რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხნის (დირექტორი შ. სანიკიძე) კოლექტივმა, ვალდებულება იკისრა ხუთწლედის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული დავალებების დამატებით აწარმოოს 10 მილიონი მანეთის პროდუქცია. ამ ვალდებულების შესრულებისათვის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მოპოვებულია პირველი წარმატება. ქარხნის კოლექტივმა 10 თვის საწარმოო დავალება ოთხი ოქტომბრისათვის შეასრულა. ცხრა თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 428 ათასი მანეთის პროდუქცია, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წარმოების ზრდის ტემპმა 26.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო შრომის ნაყოფიერება გადიდებულია 10 პროცენტით.

## სოფლის მშენებელთა წარმატება

მეცხრე ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის კოლექტივი. 9 თვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა-ვალდებულება კოლექტივმა 103,7 პროცენტით გადაჭარბა.

დაწინაურდნენ გორის № 10, ბოგდანოვკის № 21, ცხინვალის № 24 და ბორჯომის № 31 მოძრავ-მექანიზებული კოლონები. მათ 9 თვეში უკვე 10 თვის გეგმები შეასრულეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ამ სამშენებლო უბნებმა, რომლებსაც სამუშაოთა მწარმოებლები ა. თოდრია, გ. ყველაშვილი, გ. მექვაბიძე, ი. თედეევი ხელმძღვანელობენ. ოსტატებიდან კი აღსანიშნავი არიან გ. მახარაშვილი, ე. გრიგოლაშვილი, გ. ემინოვი, ი. მაკრახიძე, რ. ცერაძე და გ. ბატიაევი.

ნ. სამნიაშვილი.

## 300 ათასი ტონა ყურძნისათვის

## ვალდებულება შეასრულეს

მცხეთა. (საქ. კორ.). შემოდგომის მზიან დღეებში, ადრე დილიდან ჭვიან ღამემდე არ წყდება ყრიამული ზვრებში. მცხეთელი მევენახეები წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

22 ოქტომბრისათვის ღვინის ქარხნებს უკვე ჩაბარდა 4.700 ტონაზე მეტი ყურძენი. განსაკუთრებით ისახელა თავი მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი რ. მემარნიშვილი), რომელმაც ვალდებულება იკისრა სახელმწიფო მარანს ჩააბაროს 550 ტონა ყურძენი ნაცვლად 450 ტონისა. მუხრანელებმა სიტყვა საქმედ აქციეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 630 ტონა ხარისხოვანი ყურძენი.

ა. თომაძე.

## რთველი დაამთავრეს

თელავი. (საქ. კორ.). წელს დიდი შრომა გასწიეს წინანდლის ლენინის ორდენოსანი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა (დირექტორი გ. ბოგველიშვილი, მთავარი აგრონომი გ. ბატიაშვილი, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. მაისურაძე) ყინვისაგან დაზიანებული ვენახების მოვლა-ნიერებისათვის. ამის შედეგად მოსავალიც კარგი მიიღეს. 823 ჰექტარი ვენახიდან გეგმით უნდა მიეღოთ 3.200 ტონა ყურძენი, ვალდებულებით — 3.500 ტონა.

რთველი შემჭიდროებულ ვადებში — 18 დღეში დაამთავრეს და სახელმწიფო მარანში მიიტანეს 3.534 ტონა ხარისხოვანი ყურძენი. სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა მესამე აგროგანყოფილებამ (მმართველი ა. ფირალიშვილი), რომელმაც ვალდებულებით ნაკისრი 1.000 ტონის ნაცვლად მოკრიფა 1.346 ტონა ყურძენი. ამ აგროგანყოფილების ბრიგადამ, რომელსაც ა. ბატიაშვილი ხელმძღვანელობს, 50 ჰექტარი ვენახიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 69,3 ცენტნერი ყურძენი, ცალკეულ ჰექტარებზე — 90 ცენტნერზე მეტი.

ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე შ. საგინაშვილის, შ. ბატიაშვილის, გ. ლუარსაბოვის ბრიგადებმა. აქაურ მევენახეებს დიდი დახმარება გაუწიეს თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა. მათ მოკრიფეს 700 ტონაზე მეტი ყურძენი.

ა. თვალიაშვილი.

# პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელები

ხელმძღვანელობის ანბანი — ასე ...

ველმეორედ, მეოთხეჯერ აირჩიეს ამხანაგებმა ნინო მიხეილის ასული აკულოვა თავიანთ პარტჯგუფორგად. ეს არის უბნის კომუნისტთა აღიარებული ხელმძღვანელის შრომის, მონდომების, ინიციატივის შეფასება. მოწინავე ამწყობმა თავის ამხანაგებს შესთავაზა იბრძოლონ ოთხ წელიწადში ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის, და ამ თაოსნობას ფართოდ დაუჭირეს მხარი ომსკის კოზიცკის სახელობის ხელსაწყოთსამშენებლო ქარხანაში. აქედან, მისი უბნიდან, დაიწყო მოძრაობა შრომითი და მატერიალური დანახარჯების მომჭირნეობისათვის, აქ დაიწყო შეჯიბრება პროფესიაში საუკეთესოს წოდებისათვის. პარტჯგუფორგი იყო იმის ინიციატორი, რომ კადრის მუშებს ეკისრათ ახალგაზრდა მუშების დამრიგებლობა, და ახლა უბანზე არ არის კაცი, რომელიც ნორმებს არ ასრულებდეს.

ახლა პარტიულ ჯგუფებში ძირითადად დამთავრდა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. და 480 ათასი ხელმძღვანელიდან თვითეულისათვის — პირველად არის არჩეული ესოდენ ძნელ პოსტზე თუ შეძენილი აქვს უკვე მრავალი წლის გამოცდილება — ეს არის დიდი ფიქრისა და მღელვარე კითხვების დრო. რას უნდა მოეკიდოს ხელი უწინარეს ყოვლისა? რას უნდა დაუთმოს მთავარი ყურადღება? როგორ უნდა მიაღწიოს, რომ უფრო გაძლიერდეს კომუნისტების გავლენა იმ უბანზე, რომლისთვისაც პასუხს აგებენ?

დიდი როლია პლაცდარმი, სადაც პარტჯგუფი მოქმედებს — ეს არის საამქროს ნაწილი, განყოფილება, ბრიგადა. მაგრამ აქ ხორციელდება პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებიდან გამომდინარე ბევრი აქტუალური ამოცანა. ახალი ტექნიკის დაჩქარებული დანერგვა და ათვისება, შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესება და შრომის დისციპლინის განმტკიცება, კოლექტივის როლის ამაღლება ადამიანთა კომუნისტურ აღზრდაში — თავიანთი მასშტაბითა და მათთვის დამახასიათებელი მეთოდებით წყვეტენ ფართო წრის პრობლემებს პარტიული ჯგუფები.

„პრავდის" ფოსტაში ბევრი წერილია პარტორგანიზაციათა ამ საბრძოლო რგოლების დიდი მუშაობის შესახებ. ლენინგრადის ქარხანა „რუსკი დიზელში" პარტჯგუფების მეცადინეობის მეთოდებით შეძლეს მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინათ მოწყობილობის გამოყენება. სვერდლოვსკის ოლქის სევერსკის მილის ქარხნის მეფოლადე კომუნისტებმა წინადადება წამოაყენეს სოციალისტურ ვალდებულებებში შეეტანათ პუნქტი სამუშაო დროის დაკარგვისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობის შესახებ, რამაც საგრძნობი გავლენა მოახდინა საამქროებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაზე. ყაზახეთის მხვნელ-მთესველთა შეჯიბრების ინიციატორები წლევანდელი ალოობის რთულ პირობებში იყვნენ კოქჩეტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ლობანოვსკის" ბრიგადის პარტიელები, სადაც პარტჯგუფორგია მურზათაი შეგენოვი.

მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში, ლენინგრადში, კიევში, ბევრ სხვა ქალაქსა და რაიონში პარტიულმა ჯგუფებმა საინტერესო გამოცდილება შეიძინეს. შემდგომი მათი წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეიშნავენ მათ პარტიული კომიტეტები, რამდენად ყურადღებით განაზოგადებენ და ავრცელებენ მათ. დრო დაჟინებით მოითხოვს სრულვყოთ პარტჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა, რათა თვითეული მათგანი უფრო აქტიურად ახორციელებდეს ავანგარდულ როლს კოლექტივში. ბევრი რამ კეთდება ამისათვის, მაგალითად, როსტოვის ოლქში. პარტჯგუფების მუშაობის საკითხებს რეგულარულად განიხილავენ პარტიის საოლქო კომიტეტში, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებში. მარტო ამ ბოლო ხანს სკკპ საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ტაგანროგის მეტალურგიული ქარხნის მგლინავთა ბრიგადის პარტიული ჯგუფის გამოცდილება, ტაცინოს რაიკომის ანგარიში ბრიგადების, განყოფილებების პარტორგანიზაციებისა და პარტჯგუფორგებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. ტრადიციული გახდა პარტჯგუფორგთა საოლქო შეხვედრები, ისინი სწავლობენ აქტივის სკოლებში.

როცა მომავლის მუშაობის გეგმებს იაზრებენ, კომიტეტები და ბიუროები მოვალენი არიან ყურადღებით გაითვალისწინონ კომუნისტთა აზრები, წინადადებები, სურვილები, პარტიული ორგანოების წინაშე ბევრი სერიოზული საკითხი დგება ხოლმე ანგარიშგება-არჩევნების დროს ჯგუფებში, საამქრო კრებებზე. ძირეული რგოლების აქტივიზაციის, მათი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების პრობლემებმა დიდი ადგილი უნდა დაიკავოს პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და პარტიულ კონფერენციებზე.

პრაქტიკა გვასწავლის, რომ საჭიროა მუშაობა ავაგოთ კონკრეტული პირობებისა და გარემოებების შესაბამისად, ცხოვრების მოთხოვნების გათვალისწინებით. ეს ეხება პარტიული კოლექტივების სტრუქტურის, მათი საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფასაც. მაგალითად, ქალაქ უდანოვის ტრესტ „აზოვსტალსტროის" პარტკომმა გადაწყვიტა „3600" საგლინავი დგანის მშენებლობაზე შეექმნა პარტიული ჯგუფები არა მარტო უბნებში, არამედ ბრიგადებშიც — ექსპერიმენტმა მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება. რა მიზანსწრაფულად და მებრძოლურად მოქმედებენ მთელ რიგ ოლქებში დროებითი პარტიული და პარტიულ-კომკავშირული ჯგუფები მოსავლის აღების დროს! საჭიროა შევისწავლოთ ეს გამოცდილება, იგი შეიძლება გამოვიყენოთ სხვა დამკვრელური ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის დროსაც.

ერთ-ერთი ძირეული საკითხია პარტჯგუფორგების სწავლება. ცნობილია, რომ მათი ორგანიზატორული უნარი, ადამიანებთან მუშაობის ხელოვნება გავლენას ახდენს მთელი კოლექტივის საქმეებზე. აი რატომ არის საჭირო უკეთ დავეხმაროთ აქტივისტებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც პირველად აირჩიეს, შეიცნონ ხელმძღვანელობის „საიდუმლოებანი". ამასთან აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ამა თუ იმ დარგის სპეციფიკა. აი რას სწერს „პრავდას" ვ. პოდშიბიაკინა, ქალაქ ვოლგოგრადის № 20 სამეურნეოთანგარიშიანი მაღაზიის პარტჯგუფორგი: „იმ რაიონის პარტჯგუფორგების სემინარები, სადაც განლაგებულია ჩვენი მაღაზია თავისი ფილიალებით, იშვიათად ეწყობა (უკანასკნელი ჯერ კიდევ წლის დამდეგს გაიმართა) და რაც მთავარია „ერთიან ნაკადად", ესე იგი მეცადინეობს ყველა ერთად, იმის გაუთვალისწინებლად, ვინ სად მუშაობს. რამდენად უფრო სასარგებლო იქნებოდა, ვთქვათ, ვაჭრობის სისტემის პარტჯგუფორგების შეკრება. ეს იქნებოდა საქმიანი, კიდევ უფრო ეფექტიანი სწავლება".

იმასთან დაკავშირებით, რომ მნიშვნელოვნად იზრდება პარტიული ჯგუფების რიცხვი სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა უბანზე, სულ უფრო აუცილებელი ხდება მეტი დიფერენციაცია მათს ხელმძღვანელებთან მუშაობაში, სწავლების ორგანიზაციაში, საჭიროა აგრეთვე კიდევ უფრო ოპერატიულად ვაცნოთ პარტჯგუფორგებს ქვეყნის საერთაშორისო და საშინაო ცხოვრება, პრობლემები, რომლებიც ოლქისა თუ ქალაქის, საწარმოს, დაწესებულებისა თუ მეურნეობის წინაშე დგანან. მათ, რომლებიც ყოველდღიურად მშრომელთა კოლექტივების შუაგულში არიან, უხდებათ უწინარეს ყოვლისა პასუხი გასცენ ადამიანთა კითხვებზე.

პარტჯგუფების ხელმძღვანელები, რომლებსაც კომუნისტებმა ნდობა გამოუცხადეს, იწყებენ მუშაობას. დაე თვითეულ მათგანს თან ახლდეს წარმატება, ძნელ, მაგრამ კეთილშობილურ და დიდმნიშვნელოვან პარტიულ სარბიელზე! დაე ახალი საქმეებით უპასუხონ მათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საბრძოლო საოქტომბრო მოწოდებას:

— კომუნისტებო! იყავით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

„პრავდის" 23 ოქტომბრის მოწინავე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# საქართველოს დედაქალაქს — ოპერის თეატრის განახლებული შენობა

რესპუბლიკის მშრომელებისათვის, ყველასათვის, ვისაც უყვარს და აფასებს ქართულ კულტურას, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი ძვირფასია, როგორც ცენტრი, სადაც იქმნებოდა და მტკიცდებოდა თანამედროვე ქართული მუსიკალური ხელოვნება, სადაც პირველად სრულდებოდა ქართული კლასიკური მუსიკის კორიფეების — ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის საოპერო, საბალეტო, სიმფონიური ნაწარმოებები.

როგორც დიდი მუსიკალური ტრადიციების მატარებელი, თბილისის ოპერის თეატრი ხელს უწყობდა რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის სულიერ დაახლოებას, მათი კულტურების დაახლოებას. საკმარისია გავიხსენოთ, რომ თბილისის ოპერის სცენაზე გამოდიოდნენ რუსული და საბჭოთა ვოკალური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები — შალიაპინი, სობინოვი, ნეჟდანოვა, ბარსოვა, კოზლოვსკი, პიროგოვი და ბევრი სხვა.

თბილისის ოპერის თეატრმა, რომელიც აიგო გასული საუკუნის 70-იან წლებში თბილისის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქის მთავარ პროსპექტზე, ჩვენს დროშიც შეინარჩუნა მნიშვნელობა როგორც ისტორიულმა და კულტურულმა ძეგლმა.

ამიტომ ბუნებრივია, რომ 1973 წლის 9 მაისს გაჩენილმა ხანძარმა, რომლის შედეგად ოპერის თეატრის შენობა ძლიერ დაზიანდა და დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან, ღიდი გულისტკივილი, თეატრის შემდგომი ბედის გამო წუხილი გამოიწვია მთელ ჩვენს საზოგადოებრიობაში.

იმავე დღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თეატრის შენობის აღდგენის ღონისძიებათა შესამუშავებლად შეიქმნა მთავრობის კომისია.

მოკლე ხნის განმავლობაში კომისიამ განახორციელა ხანძრის შედეგების ლიკვიდაციისა და საოპერო დასის მუშაობის მოგვარების მთელი რიგი გადაუდებელი ღონისძიებანი. გამოიყო სახსრები დეკორაციების, გარდერობის, რეკვიზიტის აღსადგენად. საკავშირო პროფსაბჭოს თანხმობით ოპერისა და ბალეტის თეატრს დროებითი სარგებლობისათვის გადაეცა თბილისის პროფკავშირთა კულტურის სასახლის ახალი შენობა, საოპერო დადგმებისათვის სასახლის შენობის უკეთ მომარჯვების მიზნით დაიწყო დამხმარე შენობების მიშენება. მთელი რიგი დამატებითი სამუშაოები მაყურებელთა დარბაზში უკვე შესრულებულია.

საკითხის ყოველმხრივი წინასწარი განხილვის შემდეგ, გაითვალისწინეს რა კომპეტენტური ორგანიზაციების, სპეციალისტების, ოპერის თეატრის კოლექტივის აზრი, აგრეთვე ფართო საზოგადოებრიობის სურვილები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1973 წლის 28 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის არსებული შენობის აღდგენის შესახებ მისი გარეგანი სახის შენარჩუნებით და სასცენო ნაწილის რეკონსტრუქციით თეატრების დაპროექტების თანამედროვე ნორმების შესაბამისად.

ამ გადაწყვეტილების მიღებისთანავე გაიშალა მუშაობა თეატრის შენობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საესკიზო პროექტების შედგენისათვის საქართველოს სსრ სახმშენის მიერ შემუშავებული საპროექტო დავალების შესაბამისად. საპროექტო ორგანიზაციების გარდა ამ მუშაობაში საკუთარი ინიციატივით მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ცალკეულმა არქიტექტორებმა.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სახმშენის მიერ რეკომენდებული თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საპროექტო გადაწყვეტანი.

**საუკეთესო გადაწყვეტად ცნეს ვარიანტი, რომელიც შეიმუშავა საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა (დირექტორი — გ. ანდრონიკაშვილი, ავტორები — ლ. მეძმარიაშვილი, მ. ჩაჩანიძე, თანაავტორები — გ. ლექვინაძე, კ. ლორთქიფანიძე). იგი ყველაზე მეტად შეესაბამება მოცემულ შენობას და ამასთან მაქსიმალურად უახლოვდება თბილისის ოპერის თეატრისათვის ტრადიციულ არქიტექტურულ ფორმებსა და ელემენტებს, აღადგენს შენობის სახეს, რომელიც ძვირფასი გახდა თბილისელთა ბევრი თაობისათვის.**

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში განსაკუთრებით აღნიშნეს მუშაობის ოპერატიულობა და ოპერის თეატრის შენობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის საესკიზო პროექტების მაღალი ხარისხი, რომლებიც შეასრულეს **საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ავტორთა კოლექტივმა, აგრეთვე „თბილქალაქპროექტის" ინსტიტუტმა (დირექტორი — გ. მირიანაშვილი, ავტორები — დ. მორბედაძე, თ. ჯაფარიძე), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპროექტო კანტორამ (დირექტორი ს. მეგრელიშვილი, ავტორები — ს. მეგრელიშვილი, კ. გრიბალი და ავტორთა ჯგუფებმა ი. და მ. ჩხენკელებმა; ი. და მ. ზაალიშვილებმა, ნ. გორდელაძემ).**

საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტს დაევალა დააჩქაროს ტექნიკური პროექტის შედგენა, რათა უკვე მიმდინარე წელს დაიწყოს თეატრის შენობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის სამუშაო ნახაზების ეტაპობრივი გამოშვება.

აღდგენითი სამუშაოები, რომელთა განხორციელება დაევალა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, უნდა დამთავრდეს 1975 წელს.

**საკავშირო მთავრობამ რესპუბლიკას გაუწია დიდი დახმარება — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური გადაწყვეტილებით ამ მიზნით საქართველოს სს რესპუბლიკას 1974 წლისათვის გამოეყო კაპიტალური დაბანდებანი 2,5 მილიონი მანეთის ოდენობით.**

ეჭვი არ არის, რომ სახმშენი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო, საქართველოს საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი, საწარმოები და ორგანიზაციები, სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღდგენითი სამუშაოთა კომპლექსის განხორციელებაში, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის განახლებულმა შენობამ გათვალისწინებულ ვადაზე გაუღოს კარი მაყურებლებს.

(საქინფორმი).

# საბჭოთა მთავრობის განცხადება

**მთელმა მსოფლიომ კმაყოფილებით და შვებით აღიქვა უშიშროების საბჭოს ამა წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთში ცეცხლისა და მთელი სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ.**

**ეგვიპტის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის შეასრულოს უშიშროების საბჭოს ეს გადაწყვეტილება და შეწყვიტოს სამხედრო მოქმედება ეგვიპტე-ისრაელის ფრონტზე. უშიშროების საბჭოს ამ გადაწყვეტილებას თანხმობა განუცხადა ისრაელის მთავრობამაც.**

**მაგრამ თელ-ავივის ეს განცხადება სინამდვილეში გამოდგა მზაკვარი ტყუილი, რომლითაც შეინიღბა ისრაელის მხედრიონი და მუხანათურად დაესხა თავს ეგვიპტის ჯარების პოზიციებს, აგრეთვე ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს. ისრაელის მთავრობამ ასეთი მოქმედებით უხეშად დაარღვია უშიშროების საბ-**

**...იგდო მთელი მსოფლიოს ხალხები. უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების ამ უხეში დარღვევებისათვის სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ისრაელის მთავრობას.**

**საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი გულისწყრომით გმობენ ისრაელის მთავრობის ამ მუხანათურ მოქმედებას და მოითხოვენ, რომ ისრაელმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ცეცხლი და მთელი სამხედრო მოქმედება არაბულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და გაიყვანოს თავისი ჯარები 22 ოქტომბრის ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე უშიშროების საბჭოს 1973 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების შესაბამისად.**

**საბჭოთა მთავრობა აფრთხილებს ისრაელის მთავრობას იმ უმძიმესი შედეგების თაობაზე, რომლებიც მოჰყვება ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სირიის არაბთა რესპუბლიკის წინააღმდეგ მისი აგრესიული მოქ-**

# სამეცნიერო კონფერენცია მოსკოვში

23 ოქტომბერს მოსკოვში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კონფერენც-დარბაზში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია „სოციალისტური ერების განვითარება და ინტერნაციონალური თანამშრომლობა". კონფერენციას აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი პარტიული სკოლა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა პ. ნ. ფედოსეევმა.

მოხსენება „სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცება მსოფლიო სოციალიზმის განვითარების კანონზომიერებაა" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა

# გულითადი მადლობა

**გერმანიის** ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ჰონეკერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჰ. ზინდერმანი დეპეშაში, რომელიც გამოუგზავნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ვ. პოდგორნის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ა. ნ. კოსიგინს, მადლობას უხდიან მათ და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს ძმური მისალმებისა და გულითადი მილოცვისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 24 წლისთავის გამო.

## დანიის პრემიერ-მინისტრი კიევში

კიევი, 22 ოქტომბერი. (საქ-ტასი). დანიის პრემიერ-მინისტრი ანკერ იორგენსენი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალური ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირში, დღეს ვოლგოგრადიდან უკრაინის დედაქალაქში ჩავიდა.

ბორისპოლის აეროპორტში, რომელიც მორთული იყო დანიის, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო დროშებით, მას შეხვდნენ უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა

...ვის მშრომელთა წარმომადგენლები.

იმავე დღეს დანიის პრემიერ-მინისტრი ანკერ იორგენსენი ეწვია უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. პ. ლიაშკოს. გაიმართა მეგობრული საუბარი.

ანკერ იორგენსენმა მიიტანა გვირგვინი ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული საბჭოთა მეომრების ხსოვნის და გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

შემდეგ დანიის პრემიერ-მინისტრმა და მისმა თანმხლებმა პი-



რთველი თელავის რაიონის წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

ვლ. მინაშვილის ფოტო.

# მსოფლიო დღეს

## მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში

კაირო, 23 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ 20 საათზე მოსკოვის დროით ეგვიპტე-ისრაელის ფრონტზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად, ძალაში შევიდა გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

23 ოქტომბერს დილით ეგვიპტის სამხედრო სარდლობამ გამოაცხადა, რომ ისრაელმა 22 ოქტომბერს ღამით ცეცხლის შეწყვეტისათვის განკუთვნილი პერიოდი გამოიყენა თავისი ჯარების გადაჯგუფებისათვის და ზოგიერთი თავისი ქვეგანაყოფი გადაიყვანა ეგვიპტის ჯარების ზანლაგებაში, უწინარეს ყოვლისა, სუეცის არხის დასავლეთ ნაპირზე. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები ცეცხლს უშენდნენ ეგვიპტის ჯარის ნაწილებს.

ეგვიპტის სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ისრაელის ეს აქცია აბრკოლებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას და აიძულებს ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს საპასუხო დარტყმები მიაყენონ ისრაელის ჯარებს პოზიციებზე, რომლებიც მათ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დაიკავეს.

კაიროს რადიოს მიერ გადმოცემულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ „მოწინააღმდეგის ტანკებმა და სახმელეთო ჯარის ნაწილებმა სროლა ატეხეს ფრონტის რამდენიმე სექტორში, რითაც დაარღვიეს რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. მტრის თვითმფრინავებმა დაბომბეს ეგვიპტის პოზიციები, რაც რეზოლუციის კიდევ ერთი დარღვევაა. ეგვიპტის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლს ცეცხლითვე უპასუხეს".

13.00 საათზე მოსკოვის დროით კაიროს რადიომ გადმოსცა ახალი კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: „იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ არღვევს რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ბომბავენ ჩვენს პოზიციებს არხის დასავლეთ ნაპირზე, განსაკუთრებით სამხრეთ სექტორში, ეგვიპტის ძალები ჩაებნენ მოწინააღმდეგესთან საჰაერო ბრძოლაში. გრძელდება ბრძოლები ეგვიპტის სახმელეთო ჯარებსა და მოწინააღმდეგის ჯარებს შორის, რომლებიც კვლავ არღვევენ რეზოლუციას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ".

ტელ-ავივიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელის სამხედრო სარდლობამ ბრძანება გასცა განეახლებინათ საბრძოლო მოქმედება სუეცის არხის სამხრეთ სექტორში. ისრაელის სამხედრო წარმომადგენელმა ეს გადაწყვეტილება იმით გაამართლა, თითქოს 22 ოქტომბერს ღამით მეორე მხარეს დაერღვიოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები იმოწმებენ ისრაელის სამხედრო სარდლობას და იუწყებიან, რომ გუშინ საღამოს ისრაელის ჯარები განაგრძობდნენ ოპერაციებს სირია-ისრაელის ფრონტზე, ამასთან ცდილობენ ეს მოქმედება იმით გაამართლონ, რომ სირიას არ გამოუცხადებია, თუ როგორ ეკიდება უშიშროების საბჭოს რეზოლუციას.

დამასკო, 23 ოქტომბერი. (საქდესი). აქ გაიმართა პროგრესული ეროვნული ფრონტის ცენტრალური ხელმძღვანელობისა და არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის სხდომები, რომლებზეც განიხილეს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ამ საკითხის გამო მიღებული ოფიციალური გადაწყვეტილებანი გამოცხადდება.

სირიის სამხედრო წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის 60-მდე თვითმფრინავი ცდილობდა დაებომბა დამასკოს ჩრდილოეთით მდებარე სამოქალაქო ობიექტები. 11 თვითმფრინავი ჩამოგდებულია.

## გენერალურ ასამბლეაზე

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება შეიტანოს თავისი XXVIII სესიის დღის წესრიგში პუნქტი „პორტუგალიის შეიარაღებული ძალების მიერ გვინეა-ბისაუს ზოგიერთი რაიონის უკანონო ოკუპაცია და აგრესიის აქტები, რასაც ისინი სჩადიან რესპუბლიკის მოსახლეობის წინააღმდეგ".

საფუძველი ამ პუნქტის შეტანისათვის, რათა იგი განიხილონ გენერალურ ასამბლეაზე როგორც სასწრაფო და დიდმნიშვნელოვანი საკითხი, გახდა შესაბამისი რეკომენდაცია, რომელიც გენერალურმა კომიტეტმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი 58 ქვეყნის ინიციატივით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება მიღებულია აფრიკის ახალგაზრდა რესპუბლიკის გვინეა-ბისაუს მზარდი საერთაშორისო ავტორიტეტის ვითარებაში.

## პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესი დამთავრდა

### აირჩიეს ახალი ხელმძღვანელობა

ვარნა, 23 ოქტომბერი. (საქდესი). ვარნაში დამთავრდა პროფკავშირთა VIII მსოფლიო კონგრესი. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ 93 სახელმწიფოს მუშათა კლასის წარმოგზავნილები, რომლებიც წარმოადგენდნენ 208 მილიონ მშრომელს. მათ განიხილეს მშრომელთა უფლებებისა და ინტერესებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ერთობლივი ბრძოლის აქტუალური პრობლემები.

ანტიიმპერიალისტური ბრძოლის ფრონტზე მსოფლიო პროლეტარიატის მკაფიოდ გამოხატულ შეკავშირებას ასახავს კონგრესის მიერ ერთსულოვნად მიღებული „საორიენტაციო დოკუმენტი", „თანამედროვე ეტაპზე კაპიტალისტური ქვეყნების პროფკავშირთა უფლებებისა და მშრომელთა სოციალურ-ეკონომიური მოთხოვნების ქარტია" და სხვა დოკუმენტები.

ბოლო დღეს კონგრესმა აირჩია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭო. შემდეგ გაიმართა გენერალური საბჭოს სესია, რომელზეც აირჩიეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს ახალი შემადგენლობა.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარედ არჩეულია ე. პასტორინო (ურუგვაი), საპატიო თავმჯდომარედ — ლ. საიანი (საფრანგეთი), ვიცე-თავმჯდომარეებად — ბ. ფრაშონი (საფრანგეთი), შ. ა. დანგე (ინდოეთი), რ. ვ. გეზო (დაჰომეა) და კ. მოფმანი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა).

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ბიუროს წევრად საბჭოთა პროფკავშირებისაგან არჩეულია საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი, მის მოადგილედ — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი პ. ტ. პიმენოვი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივნად აირჩიეს პ. ჟანსუსი.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივნებად არჩეული არიან ა. მაზეტი (იტალია), მ. სენი (ინდოეთი), ი. ზაქარია (სუდანი), ხ. კამპოსი (ჩილე), ე. ტ. ჩერედნიჩენკო (სსრ კავშირი).

ამერიკის შეერთებული შტატები

## საიდუმლოებას ფარდა ეხდება

ვაშინგტონი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). აქ ცნობილი გახდა ახალი ფაქტები ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, რომელსაც იგი ეწეოდა სალვადორ ალიენდეს სახალხო ერთიანობის მთავრობის წინააღმდეგ 11 სექტემბრის სამხედრო გადატრიალებამდე. ამ ფაქტებს შეიცავს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის უ. კოლბისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პასუხისმგებელი თანამშრომლის ფ. დევისის საიდუმლო ჩვენებათა სტენოგრამა, რომლებიც მათ წარუდგინეს კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ამერიკის სახელმწიფოების საქმეთა ქვეკომისიას. მათი ჩვენებების შინაარსი გამოაქვეყნა გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა".

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელთა ჩვენებანი მოწმობენ, რომ ეს უწყება ფართო მასშტაბით საიდუმლოდ ერეოდა ჩილეს შინაპოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ეს საქმიანობა, წერს გაზეთი, მიზნად ისახავდა „შეღწევას ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიაში, მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციებისა და დაჯგუფებების მხარდაჭერას, პრესის ოპოზიციური ორგანოების დაფინანსებას".

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის ჩვენებანი და სხვა ინფორმაცია, წერს გაზეთი, მოწმობს, რომ შეერთებულ შტატებს „მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა ჩილეს სამხედროებთან არჩევნებში ს. ალიენდეს გამარჯვების მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში".

„ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გამოყო 400 ათასი დოლარი პრესის იმ ორგანოების მხარდასაჭერად, რომლებიც ს. ალიენდეს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ პრეზიდენტის არჩევნების წინ.

## ქალაქების კრიზისი

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). ჯურღმულები, მილიონთა სიღატაკე, დამნაშავეობის განუწყვეტელი ზრდა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემათა არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა — ასეთია იმ მოვლენათა არასრული ნუსხა, რომლებსაც ერთად შეერთებულ შტატებში „ქალაქების კრიზისს" უწოდებენ.

ვაშინგტონის ქალაქების პრობლემების ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში მდგომარეობა „აშკარად გაუარესდა". ინსტიტუტის მოხსენებაში, რომელიც „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა, ნათქვამია, კერძოდ, რომ 18 უდიდეს ქალაქში, რომლებიც გამოიკვლიეს, მოსახლეობის 12 პროცენტზე მეტი ცხოვრობს სიღარიბეში, ამასთან ზოგიერთ მათგანში ეს ციფრი 15 და 17 პროცენტსაც კი აღწევდა.

## გარდაიცვალა პ. კასალსი

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი (საქდესი). პუერტო-რიკოს დედაქალაქ სან-ხუანში 97 წლის ასაკში გუშინ გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი ვიოლონჩელისტი, კომპოზიტორი და დირიჟორი პაბლო კასალსი.

პაბლო კასალსი, ეროვნებით ესპანელი, ემიგრაციაში წავიდა ესპანეთიდან 1939 წელს, ქვეყანაში ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ და იმ ხნიდან მოყოლებული ცხოვრობდა ჯერ საფრანგეთში, შემდეგ კი პუერტო-რიკოში.

მსოფლიოს ბევრ წამყვან ვიოლონჩელისტს პაბლო კასალსი მიაჩნია თავის მასწავლებლად. „გარდაიცვალა ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი მუსიკოსი, დიდებული ვიოლონჩელისტი, — თქვა ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრის ცნობილმა დირიჟორმა იუჯინ ორმანდიმ. — მისი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია მთელი მუსიკალური სამყაროსათვის".

პაბლო კასალსს დაკრძალავენ პუერტო-რიკოში, რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა.

კულტურა ● ხელოვნება

## [illegible] მეგობრობაზე

სოფია, 22 ოქტომბერი. (საქდესი). ბულგარეთის ეკრანებზე გამოვიდა ფერადი სრულმეტრაჟიანი ფილმი „ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი". ფილმი ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრულ ვიზიტს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში გაიმართა. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კინოდოკუმენტალისტებმა საინტერესოდ აღბეჭდეს ფირზე საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის, ორი მოძმე ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ერთიანობის მანიფესტაცია.

ფილმის პირი საბჭოთა კავშირის საჩუქრად გადაეცა სსრ კავშირის სოფიის საელჩოს.

## ბერლინის ფესტივალზე

ბერლინი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). დამთავრდა ბერლინის ხელოვნების მე-17 ფესტივალი, რომელიც დიდი მოვლენა გახდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

ფესტივალი 18 დღეს მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის თეატრების სცენებზე აჩვენეს 250-ზე მეტი საოპერო და დრამატული სპექტაკლი, 12 ქვეყნის საგუნდო კოლექტივებისა და ანსამბლების კონცერტი.

ფესტივალის ფარგლებში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის მსახიობებისა და მხატვრული კოლექტივების გამოსვლები. საბჭოთა კავშირის ხელოვნებას წარმოადგენდნენ ლიტვის ბავშვთა გუნდი „აჟუოლიუკასი", სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ობრაზცოვი, აგრეთვე მევიოლინე ი. ბეზროდნი და პიანისტი ე. ვირსალაძე, რომლებიც გამოდიოდნენ ლაიფციგის გევანდჰაუზის ორკესტრისა და ბერლინის სახელმწიფო კაპელის თანხლებით.

## კონცერტებით ბანგლადეშში

დაკა, 22 ოქტომბერი. (საქდესი). ბანგლადეშში წარმატებით ჩაიარეს საბჭოთა ესტრადის მსახიობების გასტროლებმა. ორი კვირის განმავლობაში მათ 15 კონცერტი გამართეს ქვეყნის დედაქალაქსა და ქალაქ ჩიტაგონგში. მაყურებელთა განსაკუთრებული სიმპათია დაიმსახურეს საქართველოს ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „დიელოს" მსახიობებმა, რუსული ცეკვების შემსრულებლებმა.

## უკანასკნელ საათს

### ისრაელი განაგრძობს პროვოკაციებს

კაირო, 23 ოქტომბერი. (საქდესი). დღეს დილით ეგვიპტის სამხედრო სარდლობამ გამოაცხადა, რომ ისრაელმა 22 ოქტომბერს ღამით ცეცხლის შეწყვეტის შორის პერიოდი გამოიყენა თავისი ჯარების გადასაჯგუფებლად და ზოგიერთი თავისი ქვეგანაყოფი ეგვიპტის ჯარების განლაგებას დაუახლოვა, ეს უწინარეს ყოვლისა ეხება სუეცის არხის დასავლეთ ნაპირს. ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალები ცეცხლს უშენდნენ ეგვიპტის ნაწილებს.

ეგვიპტის სარდლობის ცნობაში ნათქვამია, რომ ისრაელის ეს აქცია ხელს უშლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესრულებას და ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს აიძულებს საპასუხო დარტყმები მიმართონ ისრაელის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც განლაგებული არიან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ დაკავებულ პოზიციებზე.

რომი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). ტელ-ავივიდან მიღებული ცნობების თანახმად, ისრაელის სამხედრო სარდლობამ თავის ჯარებს უბრძანა განაახლონ საბრძოლო მოქმედება სუეცის არხის სამხრეთ სექტორში. ისრაელის სამხედრო წარმომადგენელმა ეს გადაწყვეტილება იმით გაამართლა, თითქოს 22 ოქტომბერს ღამით მეორე მხარეს დაერღვიოს შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

□

### ძმური თანამშრომლობა

პრაღა, 23 ოქტომბერი. (საქდესი). აქ მოლაპარაკება დაამთავრეს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკების დელეგაციებმა ორი ქვეყნის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების თაობაზე.

□

### საერთაშორისო ბაზრობა დამთავრდა

ბაღდადი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). აქ დაიხურა ბაღდადის მე-10 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობდა 40-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

□

### დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა

ბერლინი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ 1973 წლის 22 ნოემბრიდან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ ორ სახელმწიფოს შორის საელჩოთა დონეზე.

სანტიაგო □

## დემოკრატთა რეპრესიები გრძელდება

საქდესისა და უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

ვაშინგტონი □

## შეთქმულება მჟღავნდება

□ ბერლინი

## ხელი მოაწერეს შეთანხმებას

## მასობრივი ტერორი

ბუენოს-აირესი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). ცდილობა რა ჩაახშოს უმცირესი წინააღმდეგობაც კი, ჩილეს სამხედრო დიქტატურა კვლავ მიმართავს უსასტიკესი ტერორის კამპანიას. როგორც არგენტინის გაზეთი „მუნდო" იუწყება, ქალაქ პუნტა-არენასში, ჩილეს სამხედრო ნაწილში, ხუნტის ჯარისკაცებმა დახვრიტეს ორი მოზარდი „კომენდანტის საათის დარღვევისათვის". იგივე გაზეთი წერს, რომ ვითომდა „გაქცევის ცდის დროს" მოკლეს სახალხო ერთიანობის ქალაქ პუნტა-არენასის რადიოსადგურის „ლა ვოს დელ სურის" ყოფილი დირექტორი.

კონსეპსიონში სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს და დახვრიტეს სახალხო ერთიანობის ოთხი მომხრე, კიდევ 12 კაცს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადის პატიმრობა. მარტო ხუნტის ოფიციალური განცხადებებით, ამ ბოლო ხანს სამხედრო სასამართლოებმა სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს 77 კაცს.

ერთ-ერთმა ჩილელმა ემიგრანტმა, რომელმაც მოახერხა ჩილედან გაქცევა, აქ საქდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ პუტჩისტებმა მოსპეს ლოტის ქვანახშირის აუზის ოთხასზე მეტი მეშახტე, რომლებმაც შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს ამბოხებულებს. ჯარისკაცებმა ისინი შახტის ერთ-ერთ სანგრევში შეყარეს, შემდეგ კი გამოსასვლელი ააფეთქეს.

მან აგრეთვე განაცხადა, რომ პუტჩისტთა ჯარები მხეცურად გაუსწორდნენ „ჩაკაბუკოს" პოლკის ჯარისკაცებს, რომლებიც დაბინავებული იყვნენ ქალაქ კონსეპსიონში. ამ ჯარისკაცებმა უარი თქვეს მხარი დაეჭირათ მეამბოხეებისათვის და სახალხო მთავრობის ერთგული დარჩნენ.

რომი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). ჩილეს გაზეთების 500-ზე მეტი ჟურნალისტი, რომლებიც მხარს უჭერდნენ სახალხო ერთიანობის მთავრობას, საპყრობილეებში ჩაყარეს, აწამებენ.

შრომა და კაპიტალი




ლონდონი. ხუთი ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში იმის წინააღმდეგ, რომ სამუშაოდან დაითხოვეს ინგლისის მოტოციკლების ერთ-ერთი უდიდესი ქარხნის „ტრიუმფის" 1.750 მუშა.

სურათზე: საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეთა კოლონა ლონდონის ქუჩებში.

## სრული ერთსულოვნება

### საერთაშორისო კონტაქტები

ბერლინი, 22 ოქტომბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციათა მოლაპარაკება დამთავრდა ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერით. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ჰონეკერმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ჰ. შტოფმა; ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაურმა.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეგობრული ვიზიტი კომუნიკეში შეფასებულია როგორც ახალი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და ვიეტნამის მშრომელთა პარტიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებაში, როგორც ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის დამაჯერებელი დემონსტრაცია. კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ ორივე მხარემ გამოიჩინა სრული ერთსულოვნება ყველა განხილულ პრობლემაზე.

ჰ. შტოფმა და ფამ ვან დონგმა ხელი მოაწერეს აგრეთვე შეთანხმებას 1974-1978 წლებში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის ომის დროს დანგრეული ქალაქ ვინის დაპროექტებასა და მშენებლობაში დახმარების გაწევის შესახებ, აგრეთვე გრძელვადიან შეთანხმებას 1973-1979 წლებში პროფესიული სწავლების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

## კომენტარი. შეფასება



საზღვარგარეთის პრესა მთავარ ყურადღებას უთმობს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია ახლო აღმოსავლეთის შესახებ. მიმომხილველნი ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის უპირველეს მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების საქმისათვის ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის უშიშროების ინტერესების გათვალისწინებით. ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო" აღნიშნავს, რომ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამარჯვებაა.

„ნიუ-იორკ ტაიმსის" თქმით, რეზოლუციას ახლო აღმოსავლეთის შესახებ „დიპლომატები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიჩნევენ განსაკუთრებულ მიღწევად". როგორც „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" აღნიშნავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს საუბრებმა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან, პრეზიდენტის თანაშემწესთან ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერთან მალე მოიტანა „კონკრეტული შედეგი".

„ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივესალმოთ ახლო აღმოსავლეთის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მოსკოვში მიღწეულ შედეგებს", — წერს ტუნისის გაზეთი „პრესი". „შეთანხმება, რომელსაც მიაღწიეს ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰ. კისინჯერმა, — აღნიშნავს ფრანგული „ეკო", — ამერიკა-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის ეფექტიანობის ახალი და შთამბეჭდავი დემონსტრაციაა". იაპონური „სანკეი სიმბუნი" გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებას აფასებს „როგორც საბჭოთა დიპლომატიის წარმატებას ახლო აღმოსავლეთში, რომლის მიზანია მშვიდობის მიღწევა ამ რაიონში".

ინგლისური „ტაიმსი" სარედაქციო სტატიაში აანალიზებს ახლო აღმოსავლეთში ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების პერსპექტივებს და აღნიშნავს: ისრაელი ცდება, თუ ფიქრობს, რომ ნამდვილი მშვიდობა შეიძლება ემყარებოდეს ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიის ოკუპაციის განგრძობას".

ინდური პრესა დიდ ყურადღებას უთმობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს ინდოეთში. „პეტრიოტი", „ინდიან ექსპრესი" და სხვა გაზეთები აქვეყნებენ ინდოეთის ვაჭრობის სახელმწიფო მინისტრის ლ. ნ. მიშრას ინტერვიუს, რომელშიც მან ხაზი გაუსვა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორი მეგობარი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური კავშირურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

საზღვარგარეთის ქვეყნების მთელი რიგი გაზეთების კორესპონდენტები მკითხველს უამბობენ, თუ როგორ ემზადებიან საბჭოთა კავშირის დედაქალაქში მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისათვის.

მსოფლიოს პროგრესული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს პროფკავშირთა მე-8 მსოფლიო კონგრესის შედეგებს, რომელმაც დაამთავრა მუშაობა ვარნაში.

(საქდესი).

## სპორტი

### ფიშერი: 10 წელს ვიქნები ჩემპიონი

ფილიპინების ისტორიაში პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი მიმდინარეობს ამ დღეებში მანილის გარეუბანში, შეჯიბრებაში მონაწილეობს ჩვიდმეტი მოჭადრაკე. მათ შორის არიან გროსმაისტერები დანიელი ბენტ ლარსენი, იუგოსლაველი სვეტოზარ გლიგორიჩი, ბორისლავ ივკოვი, ლუბომირ ლუბოევიჩი, რუმინელი ფლორინ გეორგიუ, არგენტინელი მიგელ ნაიდორფი და სხვები.

მანილაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩავიდა აგრეთვე მსოფლიო ჩემპიონი რობერტ ფიშერი — ფილიპინების პრეზიდენტის ფერდინანდ მარკოსის მიწვევით. მაგრამ ტურნირში იგი არ მონაწილეობს, რითაც განაგრძობს „ტაიმ-აუტს" ბორის სპასკისთან 1972 წლის რეიკიავიკის მატჩის შემდეგ.

ჟურნალისტებმა ისარგებლეს შემთხვევით, რათა შეკითხვა მიეცათ ფიშერისათვის, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს მითქმა-მოთქმა, თითქოს მან გული აიყარა ჭადრაკზე და არ აპირებს დაიცვას თავისი ტიტული 1975 წელს.

— ყველაფერი ეს ჭორებია, — უპასუხა ჩემპიონმა. — ყურადღებით ვადევნებ თვალს ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირს, ვსწავლობ პერსპექტიული მეტოქეების პარტიებს, გამოწერილი მაქვს ორ ათეულამდე საჭადრაკო ჟურნალი, უახლოეს ხანში ვაპირებ კვლავ შევუდგე პრაქტიკულ თამაშს. პრიზები, რომლებსაც საჭადრაკო ასპარეზობის გამარჯვებულნი იღებენ, ჯერ კიდევ მეტად უმნიშვნელოა.

თუმცა, ისინი საკმარისია სხვებისათვის, მაგრამ არა ჩემთვის განმარტა ფიშერმა, რითაც ჟურნალისტებს აგრძნობინა, რომ განაგრძობს ბრძოლას ზეჰონორარებისათვის ტურნირებში თავისი მონაწილეობის გამო.

ფიშერს სპასკი კვლავ მიაჩნია უძლიერეს პრეტენდენტად მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის მატჩში, ხოლო სპასკის, მისი აზრით, უშუალოდ მოჰყვებიან საბჭოთა დიდოსტატი მიხეილ ტალი და ანატოლ კარპოვი. როგორც ფიშერმა განაცხადა, კიდევ ათ წელს აპირებს მსოფლიო ჩემპიონობას. (საქდესის კორ.).

მიმოხილვა

## საერთო ბაზარი და აფრიკა

ბრიუსელში დაიწყო მოლაპარაკება, რომელმაც უნდა განსაზღვროს საერთო ბაზრის ცხრა ქვეყნისა და აფრიკის, კარიბის აუზისა და წყნარი ოკეანის 42 განვითარებადი ქვეყნის ურთიერთობის ახალი პრინციპები.

დღემდე საერთო ბაზრისა და აფრიკის ქვეყნების ურთიერთობას განსაზღვრავდნენ ეგრეთ წოდებული იაუნდის კონვენცია, რომელსაც ძირითადად ხელი მოაწერეს აფრიკის ფრანგულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებმა, და არუშის შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობენ კენია, უგანდა, ტანზანია. ამ შეთანხმებებს ვადა გასდის 1974 წლის დამდეგს, მაგრამ საქმე მარტო ეს როდია. ინგლისის შესვლამ საერთო ბაზარში ძირს გამოუთხარა სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას მთელ ერთა თანამეგობრობაში, რამაც დღის წესრიგში დააყენა საკითხი ამ „თანამეგობრობის" განვითარებადი ქვეყნებისა, და ევროპის ეკონომიური გაერთიანების ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ.

ბრიუსელის მოლაპარაკებაზე ერთმანეთს უპირისპირდება ორი მხარე, რომლებსაც საწინააღმდეგო ინტერესები აქვთ. ერთი მხრივ, ეს არის საერთო ბაზრის მონაწილე დიდად განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები. მათი მიზანია განვითარებად ქვეყნებს, უწინარეს ყოვლისა აფრიკის ქვეყნებს დაუმკვიდრონ კაპიტალისტური დასავლეთ ევროპის აგრარული და ნედლეულის მწარმოებელი დანამატის როლი და ამით უზრუნველყონ თავიანთი სამრეწველო საქონლის გასაღების ხელსაყრელი ბაზრები.

მეორე მხრივ არიან განვითარებადი ქვეყნები. ისინი გადაჭრით ილაშქრებენ საერთო ბაზართან ისეთი „ასოციაციის" წინააღმდეგ, რომელსაც მოჰყვება მათი ბუნებრივი სიმდიდრის გაძარცვა და დასავლეთ ევროპის მონოპოლიებზე მათი ეკონომიური დამოკიდებულების გამარადიდება. ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან ურთიერთობაში ისინი მოითხოვენ თანასწორუფლებიანობას, თავიანთი პროდუქციის — როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე სამრეწველო პროდუქციის თავისუფალ მიწოდებას საერთო ბაზრის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპისაგან ეკონომიური დახმარების გადიდებას, რადგან მისი სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო იყო კოლონიების დაუნდობელი ექსპლოატაცია.

მოლაპარაკებაზე განვითარებადი ქვეყნების ერთიანი ფრონტის ბირთვს ქმნიან აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოები, უწინარეს ყოვლისა აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წევრები, რომლებმაც ბევრი რამ გააკეთეს, რათა შეემუშავებინათ საერთო პოზიცია. თავიანთი ერთიანობა მათ უკვე ცხადყვეს ევროპის ეკონომიურ გაერთიანებასთან წინასწარი მოლაპარაკების დროს მიმდინარე წლის ივლისში, აგრეთვე ტოკიოში გამართულ ტარიფებისა და ვაჭრობის გენერალური შეთანხმების წევრთა კონფერენციასა და ნაირობში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესიაზე.

განვითარებადი ქვეყნების პოზიციები იმანაც განამტკიცა, რომ ბევრ მათგანს მყარი და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ამ ურთიერთობას ისინი უპირისპირებენ დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მონოპოლიათა დიქტატს.

მოლაპარაკება ძალზე რთული იქნება, და როგორც ვარაუდობენ, რამდენიმე თვეს გაგრძელდება. — მაგრამ პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, თუ განვითარებადი ქვეყნები შეინარჩუნებენ ერთიანობას, ისინი საკადრის პასუხს გასცემენ საერთო ბაზრის ქვეყნების ნეოკოლონიალისტურ მისწრაფებებს.

(საქდესი).

